

ს ი ა ნ გ ი



ნახ. გ. ლომიძისა

ჰიტლერის მოკიბი ავრეშთიონი ანკაეპი

„საბჭოთა პრესამ უკვე შეაფასა ეს პროვოკაცია, რომელიც გერმანელებმა მოაწყვეს თურქეთის ტერიტორიაზე. ამ საქმეში, უეჭველია, ხელი ურევიათ რაიხსტაგისათვის ცენტროაკიდების სპეციალისტებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს უთანხმოება ჩამოაგდონ საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის“.

აშხ. ს. ა. ლოზოვსკის განცხადებიდან

პროვოკაციის საქმეში გაწაფული აქვს ხელია, მიუნხენ-რიომის ხერხი, კვალად იზმარა ძველია: ანკარას გადასროლა ნაყიდი სამი მკვლელია,

„თავდასხმის“ საქმე მოაწყვო ავაზაკური, ბნელია, და მისგან ხეირს მოელის, ეს ცოფიანი მგელია, მაგრამ ამ „კოვსაჯ“ ნაცარში ჩავუგდებთ — უეჭველია.



— ალბერტმა ცალი ფენი დაჭარგა და ფენის ნაცვლად სულ ჩექმის დაკარგვანზე წუწუნებს.

— იმითმ, რომ იმ ჩექმაში, რომელიც ფენთან ერთად დაჭარგა, ნაქურდალი ოქროს საათი ჰქონდა შენახული.

ნამდვილი სიკვდილი

ფაშისტმა გენერალმა გუსტავ შიშბერგმა სახელი გაითქვა, როგორც დივიზიის სარდალმა, რომელიც ოკუპირებულ რაიონებში „ქვას ქვანზე“ არ სტოვებდა, წვავდა და ანადგურებდა ყველაფერს, უღებდა და ხოცავდა მშვიდობიან მოსახლეობას, აუბატონებდა ქალებს, არ ინდობდა მოხუცებსა და ბავშვებს, ტყუილად კი არ ერქვა მის დივიზიას „სიკვდილის დივიზია“. ამ სახელწოდებით ამაყობდა იგი. ეს იყო ომის პირველ ხანებში.

ასეთი „გმირობისათვის“ შიშბერგმა ფიურერის შადლობაც კი დაიმსახურა.

გავიდა დრო. წითლებმა შეტევები დაიწყეს. ფაშისტები უკან იხევდნენ და დამარცხებებს განიცდიდნენ. მაშინაც შიშბერგმა სახელი მოიხვეჭა, მხოლოდ დამარცხებით, მისი დივიზია ყველაზე სასტიკად დამარცხდა. ის სასტიკად გაჰკიცხა ფიურერმა. ამ ნადავლზე მან თვითმკვლელობაც კი გადასწყვიტა.

კარები ჩაიკეტა, რევოლვერი ხელში მოიმარჯვა და გულს დაუმიზნა, მაგრამ ვერ გაბედა, შიშისაგან აცანცანდა, რევოლვერი ფრთხილად ჯიბეში ჩაიდო და ტირილი მორთო. ამის შემდეგ შიშბერგი უფრო გულმოდგინედ ცდილობდა ფიურერის ყურადღება დაემსახურებია, მაგრამ არ იქნა და გერმანელებმა დაიწყეს მისი სიკვდილი პრესტიჟი ოდნავ გამოაკეთა.

აი რა მოხდა:

საბჭოთა თვითმფრინავი იძულებული გახდა შიშბერგის დივიზიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დაშვებულიყო. შიშბერგმა სიხარულისაგან „ცას ხელი მოაგლო“. მან გადასწყვიტა საბჭოთა მფრინავი ტყვედ ჩაეგდო. დაშვებულ თვითმფრინავს მისი ბრძანებით რკალი შემოართყეს და მფრინავს წინადადება მისცეს იარაღი აეყარა. საბჭოთა მფრინავმა

პასუხის მაგიერ ტყვეები დააყარა მათ, მხოლოდ ერთი ტყვეა კი თავისთვის დაიტოვა.

„ბრძოლა“ დასრულდა. „გამარჯვება“ დარჩა „სიკვდილის დივიზიას“, რომელმაც „დიდი ნადავლი“ ჩაიგდო ხელში, — აფეთქებული თვითმფრინავი და თავისი ტყვეით გულგანგმირული საბჭოთა მფრინავი. ეს იყო ამ დივიზიის პირველი და უკანასკნელი „გამარჯვება“ წითლებზე.

ერთხელ, როცა განთიადმა თოვლით დაბურულ მიდამოებს შუქი მოჰგინა „სიკვდილის დივიზიის“ მიერ ოკუპირებულ სოფელში მოულოდნელად შემოიჭრა საბჭოთა ქვეშევრდების ქუხილი, ყუმბარების გრიალი და ტყვიამფრქვევითა კაკინი. შიშბერგმა ძლიერ მოასწრო საცეცხლე მუხისგან გადაცხა „სიკვდილის დივიზიის“ მხოლოდ ნაწილმა უშველა თავს. რამდენიმე კილომეტრით უკან დახევის შემდეგ, ერთერთ სოფელში შიშბერგი თავის შტაბით „გამაგრადა“. განადგურებული დივიზია მოიცვა სასო-წარკვეთილებამ. ჯარისკაცები თავიანთ „გულს ნადებს“ უზიარებდნენ ერთმანეთს:

— ეხ, ნეტა ბედი გვქონდა და წითლებს ტყვედ ჩავვარდნოდით.

— მაგ ბედნიერებას ვინ მოიწერება!..

— მაშ, რა უნდა ვქნათ? რა გვიშველის?

— მხოლოდ სიკვდილი.

და მართლაც „სიკვდილის დივიზიას“ სიკვდილი დაეპატრონა. თითქმის ყოველდღე ადიდოა ჰქონდა თვითმკვლელობის შემთხვევები. დაცვა დისციპლინა. იყო შემთხვევები ჯარისკაცების მიერ შეთაურების მოკვლისა. სარდალმა შტაბის წევრები მოიწვია და თათბირი გამართა.

— როგორ მოვიქცეთ? ხომ იცით, ფიურერის რასხვას ვერ ავცდებით...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას იტყვი? — ისევ წარმოსთქვა მან და მწყურალად გადახედა მათ. ყველა სულმა.

ამ დროს კუთხეში მჯდომმა პოლკოვნიკმა წამოიხსნა:

— თქვენო ბრწყინვალეებო, იმედი ყურად ვაქონით, რომ..

— რა იმედი? სთქვით, სთქვით! — მიმართეს მას შტაბის წევრებმა.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, — განაგრძო პოლკოვნიკმა, — რომ ფიურერის რასხვა მარტო ჩვენ არ დაგვატყდება, ვინაიდან ჩვენს მდგომარეობაშია თითქმის ყველა დივიზია.

პოლკოვნიკის სიტყვამ ყველას სახეზე უკმაყოფილება აღბეჭდა.

— ფუ, რა სისულელეს ბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო. მერე სხვების უბედურება ჩვენ რას გვიშველის? — მიახალა პოლკოვნიკს შიშბერგმა. ამ დროს ტელეფონის წკრიალი გაისმა. შიშბერგი ტელეფონს მიწვდა.

— დიხ, მე ვახლავართ... მესმის... თითქმის ყოველდღე... ჩვენ? ცუდათ კი არა, მაგრამ.. რას ბრძანებთ? დიდებული იქნება.. სწორედ ასეთი საუბრები გვეკიდება. მოხარული ვარ... მოველით, მოველით. ტელეფონზე ლაპარაკის დროს შიშბერგი სიხარულისაგან ფეხებს აბაკუნებდა.

— იცით, ბატონებო, რა ვახაროთ. ეშველა ჩვენს საქმეს.

შტაბის წევრებმა კისრები წაიგრძელეს.

— ბრძანეთ თქვენო ბრწყინვალეებო, ბრძანეთ... — გაისმა ხმები.

კუთხეში მჯდომმა პოლკოვნიკმა წამოიძახა:

— ხომ გეუბნებოდით, იმედი იქონიეთ, ფიურერი არ დაგვიწყებს შეთქი.

შიშბერგმა წყრომით გადახედა მას.

— რაო? თქვენ რა მოგახსენიეთ? თუმცა, ჰო, თქვენც კი სთქვით... მე კი თქვენზე აღრე ვამბობდი... ყველას მოთმინება დამეკარგა.

— ბრძანეთ, ბრძანეთ თქვენო ბრწყინვალეებო!

შიშბერგმა განაგრძო:

— მოითმინეთ, ახლავე გეტყვი, ბატონებო! თვით ფიურერის განკარგულებით ჩვენს დივიზიას ეშვევა ფრონტზე მოგვინებული გებელსის რწმუნებულო, ფაშისტების კრზობილი თეორეტიკოსი კარლ ლაუბერი... ო, თქვენ რომ იცნობდეთ მას... იშვიათი ორატორია, მე მისთვის არაერთხელ მისმენია ბერლინში...

— მერე, მერე, თქვენო ბრწყინვალეებო?

— მერე და ბატონი ლაუბერი ჩაატარებს ჩვენს დივიზიაში საუბრებს სიკვდილის შესახებ. დიხ, საუბრებს ფაშისტური სიკვდილის გარშემო.

იმის შესახებ, თუ როგორ სიკვდილს ესაჭიროებთ ჩვენ. ეს საუბრები მიმართული იქნება დივიზიაში ვახშორებულ თვითმკვლელობის წინააღმდეგ. ამ საუბრების შემდეგ თქვენ იხილავთ, რომ დივიზიაში შიშისპობა სულით დატყვევებულია, განმტკიცდება დისციპლინა, შეწყდება თვითმკვლელობა.

შიშბერგის ცნობას აღფრთოვანებით შეხვდნენ შტაბის წევრები.

კარლ ლაუბერს ცირემონიოლით შეხვდნენ „სიკვდილის დივიზიაში“. მის საუბრებს ყალბი აღტაცებით ხვდებოდნენ დივიზიის ზოგიერთი მეთაურები, მხოლოდ ჯარისკაცები უსმენდნენ და სლუმდნენ.

— ყველაფერი ვასაგებია? — ეკითხებოდა ის ჯარისკაცებს საუბრის შემდეგ.

ჯარისკაცები სიჩუმით უპასუხებდნენ.

— თქვენი სიჩუმე თანხმობის ნიშანია, — ამობოდა ლაუბერი და საუბრებს განაგრძობდა. მხოლოდ უკანასკნელ საუბრის დროს ერთი ჯარისკაცი შეეკითხა:

— თქვენ გვეუბნებით: გერმანიელი ჯარისკაცი-სათვის ფრონტზე სიკვდილი ბედნიერებაა; ის კვდება, როგორც ახალგაზრდა, რომელსაც სიკვდილი ათავისუფლებს. ყოველგვარი მძიმე განცდილისაგან მოხუცებულობასა და ავადმყოფობასთან დაკავშირებით, გთხოვთ გაგვიმარტოთ, თქვენ აზრი ჩემთვის გაუგებარია.

ლაუბერმა თავისი აზრი ასე „განმარტა“:

— ავი მოგახსენიეთ, — სიკვდილი ახალგაზრდისა, უნეტარესი სიკვდილია, რადგან იგი აცდებდა იმ უბედურებას, რომელსაც მოხუცებულობა ეწოდება, იგი აცდებდა იმ მძიმე განცდილებას, რომლებიც მას ელის რაიმე ავადმყოფობის გამო. ოხ, თქვენ რომ იცოდდით, რა საშინელებაა მოხუცებულობა. იყო მოხუცი, ფიზიკურად უძლურია, ქვეყნისათვის ზედმეტად ბარბა, მოქთანორო. და ვანა ბედნიერება არ არის ამოღდ ამ საშინელებას და ახალგაზრდა შეეგებო სიკვდილს უშიშროა?

ჯარისკაცებში ხველა ატყდა.

ჯარისკაცი კვლავ შეეკითხა მას:

— ბატონო პრამაგანდისტო, ერთი მიზრძანეთ — ჩვენი ფიურერი ხომ გერმანიის პირველი ჯარისკაცი, მინდა ვიცოდე, ახალგაზრდა იგი თუ მოხუცი?

— რასკვირველია, ახალგაზრდაა, — იყო პასუხი. ჯარისკაცმა ორაზროვანად გაიღილა და დასძინა:

— მაშ, პირველ რიგში მას უნდა გულსუროთ. მე დარწმუნებული ვარ ამ სურვილს მთელი გერმანიის ხალხი შეუერთდება.

— რა უნდა გულსუროთ?

— ის, რაც მას ჩვენთვის სურს, როგორც ახალგაზრდა ჯარისკაცებისათვის.

შიშბერგმა მრისხანედ გადახედა ჯარისკაცს და მარჯვენა ხელი რევოლვერზე იტაცა.

ლაუბერის საუბარი დასრულდა.

გერმანიაში აკრძალულია ყოველგვარი სასოწარკვეთილება-სიცილის საშუალებით უნდა „გააქარვონ“ ხალხის პესიმისტური სულისკვეთება.

გაზეთებიდან

კალინინის ფრონტზე ჯანადაგურის ქურდებისაგან შედგენილი გერმანულთა მე-550 ბატალიონი, ჯარისკაცთა დიდი ნაწილი ტყვედ დაგვანდება. ისინი მოტყუებულად თვლიან თავს „ფიურერისაგან“.

გაზეთებიდან

ნაბ. კროტკოვისა



ოტომ თავის მეგობარი პაულ დაინახა, შეაჩერა, ღრეჭით უთხრა: მგონი დარდობ... ხა-ხა!

პაულს ცრემლი წასკდა, თითქოს ვინმეს გაელახა, მან მიუგო: დედაჩემი გუშინ მოკვდა... ხა-ხა!

ოტომ ჰკითხა, — ჰე, რას იზამ, როდის გაქვს დამარხვა,

მსურს დავესწრო, — თუმც მც ცუდათ ხაქმე მაქვს, — ხა-ხა-ხა...

შენ მაინც რა დამართია, იცქირები გლახად, შვილი ხომ არ მოკვდომია ფრონტზე? ხა-ხა, ხა-ხა!

— დიახ, დიახ, მწარე სეცდამ ხული დამითალხა, ერთი შვილი მყავდა, ისიც მოჰკლეს, ხა-ხა, ხა-ხა.

სანდრო

უკონგის გაზეთებიდან შთამომავლობის კალა

- ასეთი პატარაა და როგორი გაქცევა სცოდნია.
- ეს იმიტომ, რომ მათ გვარში ყველა განთქმულია გაქცევით. მისი ბაბუა 1918 წელს წითელ არმიას გაექცა ფსკოვიდან, მამამისი კი 1942 წელს — მოჟაისკიდან.

(„სამოგლობოსათვის“)

საჭირთა მიხვედრა

ერთმა ბეჯითმა ფაშისტმა როცა გაიგო, რომ ჰიტლერი მთავარსარდალია, ტაშის კვრით შესძახა:

— ჰაილ ფიურერი! ეხლა ყველაფერი სხვანაირად დატრიალდება! მე არ მესმის რომელმა სულელმა დანიშნა მთავარსარდალად ის ბრეივი ფონ ბრაუხიჩი?

— რომელმა სულელმა? — შეეკითხა მას მოსაუბრე — რომელმა და ხწორედ იმ ხულელმა, რომელმაც ეხლა გადააყენა ფონ ბრაუხიჩი და მის მაგიერ ჰიტლერი დანიშნა.

(„გაშულისათვის“)

გულკეთილი

- მე ვზრუნავ, რომ მკბენარებმა არ შეაწუხონ გერმანელები.
- მერე, რას აკეთებ?
- მე მათ ვხოცავ.
- ვისა? მკბენარებს?

არა, გერმანელებს.

(„სამოგლობოს დამცველი“)

ხმა გაგრცელდა ციხეებში გასაგონად საოცარი, რომ საომრად ირაზმება ქურდ-ბაცაცა მიელი ჯარი.

ბრაუხიჩი წინ მიუძღვის მოდით, ნახეთ თუ არ გჯერათ, ფრონტისკენ ირაზმება ყველა ქურდი, გაიძვრა.

„გავითენდათ ოსტატებო, ვინც ხედვობდით მგზავრებს დანით, ან ქურდულად სახლს ძარცვავდით, ჰა, ბურთი და მოედანი!

მოდით, მოდით, ხეირს ნახავთ, ბედს ეწვეით უმწვერვალეს თან ძარცვით და თან იძახებთ „დოილანდ, დოილანდ უბერ ალეს“!

თუ რბევის დროს სიმამაცს გამოიჩენს ქურდ-ბაცაცა, დასჯის ნაცვლად ჯილდოს მიცემით მოწმედა გვყავს მიწა და ცა.

მოდით, მოდით, მეგობრებო, მოგიწოდებთ გულით ყველას, თქვენ მოგიხმობთ ფიურერი, თქვენგან ელის ხსნას და შევლას,

თქვენი მკლავით გამარჯვება მოიპოვოს უნდა ერმა. წინ! — ამ სიტყვით მოუწოდა ციხეებში მათ ჰიმლერმა.

გამოლაშქრდნენ... მაგრამ რაზმი არ აღმოჩნდა მათი კენტი, სხვა რაზმებიც ბევრი ნახეს მცარცველი და კონკურენტები

და როდესაც შეტევის დროს ვანადგურებთ მტრების საფარს, და მძლე მხსნელთა მრისხანება ეფინება ცეცხლად მთა-ბარს,

ტყვედ მოდიან... თან ამბობენ: „ომში ყოფა ზარალია, ჩვენისთანა ბანდიტები სხვა რაზმებშიც მრავალია“.

რა გვეყოფა ამდენ მსუნაგს გვენატრება პურის ყუა, ფიურერიმა გვილატა, ფიურერიმა მოგვატყუა.

ს. ისარიძე

გამოსდილუბის საუბაქაულა

„ჰიტლერელები ოკუპირებულ ქვეყნებში „მონალისებად“ აგროვებენ ქურდებს, მკვლელებს და სხვა სისხლის სამართლის დამნაშავეებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გასაგზავნად.“

ნაბ. ი. კროტკოვისა

გაზეთებიდან



— ედერგარდი ორივე ფეხით ჩავარდა, ნაღდი სიკვდილი სელში უჭირავს.

— როგორ, ციხეში ხომ არ ჩასვეს?

— პირიქით, ციხიდან გაანთავისუფლეს როგორც ქურდი-რეციდივისტი და „მონალისეთა ლეგიონში“ ჩასწერეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გამგზავრებლად.

წამოწყვეთ ყარაღრი თბი ვლტებულო ვარჩინის ახალგაზრდობა ჰიტლერის მამარ მუჟა...

ნან. გ. ლომბისი



„ფურცა“ სანკრებთი „ამავარდა“ თვის ვარჩა, ამბავივინა დამარბობი, ალუბვინა რკინის ვარჩა...

გაჩივდა და გაბითდა მოწყობა მისი ველო, იგი ყოველ მუკავალს შინაში სანკრებობა...

სამშობო კომუნისტების დრონტის ერთი უმანვე მცოდნობა სწავარა მამავარდა... თვის შირე დავე ტაქტიკით ლავებინდენ გერმანულად...

პლინა სინდინსო

— რა გულსწე უზრან მარ რადიომიწლებს დარბის ტლანტერა, რე თუ არ მოგებრდა გებუე აშენი უსანდის ტრამბის და სიქურის მოსენა?...

ნანსილიაქი

306 აქობა?

ფანტების რამ სიფიქსი შემაბურენ, ბრწყინვალეს მამევეს ზღა, რაც მოეწონებოდა, ჩვი იფიქსი მივხედობოდა, აფილავთი მიქონებოდა...

ბაბუა მიკტამ ზღაწეული შეპირული ბრძანება. — მამევეს, ვინა მამრბობა, მამრბობი უფრო ადრე მიღწეეს დავინანი მამან, ვინც ურბობი, აბრამ ტურეული...

მხვარის ვეპეპე მომხვებობის ისტორია



1. ბერბონილი კომპარტისტა, ცუქნობილი „ცურე მუკავალი“ სანკრებობა მ. შავალ თფილი ვინადიბენ და მერე კე... 2. „ურტი ბევი და კიპანინი“ თარბი ვაგინი ფარკო უფინმა...

ნახ. ი. განფისა

(„ოგონიოკიდან“)



— არ ვიცი, ჩვენს შორის რომელი უფრო მეტად უყვარს ფიურერს, მაგრამ ყველას კი ერთნაირად გვძარცვავს.

„არიელთა“ პოლკში თუმცა ბევრი იყო ქურდი, ფლიდი, მაინც ფრიცსა გაიძვირას იქ სახელი ჰქონდა დიდი.

მას ეკიდა რეგოლოგერი, ავტომატი, ხელყუმბარა, ნაქურდალი კონიაკით სავსე ჰქონდა სულ მათარა, დათვრებოდა და უმიზნოდ სროლას სტეხდა წარა-მარა.

ერთხელ ბრძოლით დაიკავა საქათმე და ფარეხები, და ნადავლიც ერგო დიდი: თავის ხელით დაჰკლა თხები.

იმის შემდეგ „გაბელული“ ფრიცს შეჰნატროდა პოლკში ყველა, — ქათმებს, იხებს, ინდაურებს იტაცებდა ვითა მელა.

მაგრამ ხიფათს ვერ გადარჩა, მოლაღატედ ექცა ბედი. დედაცაცმა შეანანა მას თავისი ნათავგნედი.

როცა ჩვეულებისამებრ, ის საქათმეს მიეპარა, ზედ ეკიდა რეგოლოგერი, ავტომატი, ხელყუმბარა,

უცებ ქალი მიეგება და ფრიცს უთხრა მობრძანდით. — იხს და ბატებს ჩვენ მოგართმევეთ, განა თვითონ უნდა სდიო?

ფრიცს ძალიან გაეხარდა უპასუხა მომეცითო. ქალმა მისცა ორი ბატი: თითო ხელში თითო თითო.

მაგრამ როცა ფრიცმა დაგლით უკან წასვლა დააპირა, წინ გადუდგა იგივე ქალი, რეგოლოგერი დაადირა:

— „ავაჯაკო, ხელი ზეგით! გამიძეხი წინ-წინ ჩქარა!“ აკანკალდა უცებ ფრიცი, ურუანტელმა დაუარა.

ოხრად დაჰრჩა რეგოლოგერი, ავტომატი, ხელყუმბარა... შეოცხვენილი ფრიცი ქალმა პარტიზანებს ჩააბარა.

ჰირიმელი

ნიანგის ბლოკნოვიდან

ახალი ბურგონი 1)

პიტლერმა ვიშის მთავრობის თავმჯდომარედ და-ნიშნა ფაშისტური გერმანიის ძველი აგენტი — ლავალი. მისი ხაზუღებით გერმანია ცდილობს ხელში ჩაიგდოს საფრანგეთის ფლოტი.

გაზეთებიდან

დაფდაფების ბრახა-ბრუნით გააღვიძეს ძველი ვიში: — „აჰ, ფრანგებო, ნულარ დარდობთ, ნულარადრის ნუ გაქვთ შიში, გულკეთილმა ფიურერმა დაგიბრუნათ ტკბილი დრონი — ფუნთუშის და პურის ნაცვლად — გამოგიცხოთ კვლავ ბურბონი. რაკი ბოლოს ძლივს ეღირსეთ გესტაპოსგან გაწვრთნილ ლავალს, ახლა ძალიან ვეღარ დაჰყევს თქვენს ბედსა და თქვენს მომავალს... გაკეთდებით მისი ხელით და სიკეთეს ნახავთ მრავალს, კვლავ გაჰყვებით პიტლერის გზას — მიიმე უღლით თქვენგან ნავალს, დაემყნობით „ახალ წესრიგს“, „ლერძზე“ ყურით მივებებით, სხვა პარტივი რალათ გინდათ, თუ პიტლერის გახდით ყმები? მაშ დაფიქრდით, რა უსაზღვრო მოგენიქათ შეგება ლხენა, სამადლობელს ბევრს არა გთხოვთ, ო, არ გვინდა თქვენი წყენა. და თუ გსურთ, რომ გაგვიმყოფნით ეგ უსაზღვრო აღმადრენა, გადმოგვეცით კვლავ ფეშქაშად მთლად საზღვაო ფლოტი ჩვენა“. ასე ისმის ბრახა-ბრუნის ბულვარებზე ძველი ვიშის, და მას რისხვით უერთდება ხალხის გმინება, ხალხის ვიში: ნუ მოელის „ფიურერი“ — გაუმართლდეს ანგარიში, თავისუფალ ხალხს ვერ მოსდრეკს შავ ფაშისტის ბილწი ჯიში, და სულ მალე ევროპაში სხვა დაფდაფი აჩქამდება, და პიტლერელ ყაჩაღთა ბრბოს ეს თარეშიც ჩაშამდება!

ძალის სახელური

საბჭოთა გმირმა პარტიზანებმა უკრაინაში მოჭ-ლებს გერმანიის პოლიციის გენერალი ვალტერ შტა-ლეკერს, რომელიც ჩხო-სლოვაკიაში არბევდა მო-ხახლეობას; როგორც გესტაპოს წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, პიტლერმა-ეს ჯალათი გადმოიყვანა უკრაინაში პარტიზანებ-თან საბრძოლველად.

გაზეთებიდან

როცა ძალის გაცოფდება, იგი ყველას უწყებს ღრენას, შემდეგ პირზე ღორბლმომდგარი გაუბედავს პატრონს წყენას, ხოლო შემდეგ ჯაჰვს აიწყვეტს და მოჰყვება სოფლად რბენას, ცოფავს ყველას, ვისაც ხედება და მანამდე არ სწყვეტს კბენას,



ვიდრე ხალხის მოკეთენი არ მოსწყვეტენ კეტით წელსა, და ამით არ დაიხსნიან საფრთხისაგან მთელ სოფელსა.

პარისისტილიან შტალეკერსა „არ შეგკადრებ“ სიტყვას მკვეთრსა დაგსძენთ მხოლოდ: მისი ხვედრი, ჰგავს ცოფიან ძალის ხვედრსა,

მაგრამ ამ ორ ცოფიანში ისღა არის განსხვავება, რომ თუ მოკლულ ძალის პატრონს საყელური მაინც ხედება, ამ ჯალათის მოსავგონად მხოლოდ ხალხის ზიზღი რჩება.

ომანი მებდარიძე

1) ბურბონი — გადატანითი მნიშვნელობით — თაღლითი, არამზადა, უტიფარი.



— რით აიხსნება, რომ ჩვენს მიერ ოკუპირებულ ქალაქში 50 მეტი სამეცხო სახლი არ გავიხსნათ?
— იმიტომ რომ ქალაქში 50 სასკოლო შენობის მეტი არ დავრჩევდით.

„ლობიერი“ განაჩენი

(სცენა წარმოადგენს ნორვეგიის დედა-ქალაქ ოსლოში კვისლინგელთა ერთ-ერთ სასამართლოს დარბაზს, მიმდინარეობს პატიმრების დაკითხვა. დამის პირველი სათია. სასამართლოს წევრები სთვლემენ, სას. თავმჯდომარე ფიხლობს. შემოჰყავთ პატიმარი, რომელსაც ხელები შეკრული აქვს და პირი ახვეული).

სახ. თავ-რე — სად შეიპყართ?
კვისლინგ. მოხელე — სამსახურში.
სახ. თავ-რე — რა დროს?

პოლ. მოხელე — შაბაშის შემდეგ, როცა ხელებს იბანდა. განაცხადა სახლში შევიდოდით, მაგრამ იშვილი არ გაუფიდა. ნორვეგიიდან გაქცევის განზრახვა ჭონდა გულში.

სახ. თავ-რე — სწორეა, თვალბში ეტყობა. შემდეგი!
(შემოჰყავთ მეორე)

სახ. თ-რე — ეს ვილაა?
პოლ. მოხელე — ესეც მუშაა, ძლივს მიუსწართ სახლში. ნორვეგიიდან გაქცევის აზრებს ამუშავებდა გონებაში.

სახ. თ-რე — მალე გაგაქცევთ საიქოსაკენ. შემდეგი! (შემოჰყავთ მესამე)

სახ. თ-რე — ეს?
პოლ. მოხელე — ესეც სახლში ვნახეთ. ტახტზე წამოწოლილს თვალბო დაეხუტა და განაბულიყო. ფიქრობდა მოგატყუებდა, მაგრამ ვერ მივირთვით. ნორვეგიიდან გაქცევის ფიქრი სულში უტრიალებდა და ჩვენც გავსკანჩეთ.

სახ. თ-რე — მაგის სულსაც მალე ავატრიალებთ ჯოჯობეთში. შემდეგი! (შემოჰყავთ ახალგაზრდა 18 — 20 წლისა)

სახ. თ-რე — ესეც გაქცევის აპირებდა?
პოლ. მოხელე — რასაკვირველია, ვითომც აქ არაფერიაო, ქალიშვილისათვის გაეკეთებინა ხელი და ნელა მიაბიჯებდა. თან ჩუმად აქეთ-იქით იცქირებოდა. ცხადია მოკლე გზას ათვალთვრებდა ნორვეგიიდან გასაქცევად.

(პოლიციის მოხელეს მთქნარებით) კიდევ ბევრია?
პოლ. მოხელე — ათას ორასი (ხმადაბლად) დანარჩენ ორ ათასსაც ამ ორი დღის განმავლობაში მოვარგებთ.

სახ. თ-რე — (ჩუმად) ყოჩაღ! (ხმადაბლად) ყველას განზრახვა გაქცევის სურვილი იყო არა?

პოლ. მოხელე — დიაღ! დიაღ!

სახ. თ-რე — დაკითხვები საქმარისია. მდივანო გამოუცხადე ყველა პატიმარს რომ ნორვეგიიდან გაქცევის განზრახვა, რომელიც დამტკიცებულია უეჭველი საბუთებით, სამშობლოს ღალატს ნიშნავს, რაც მოითხოვს უმაღლეს სასჯელს. და ჩვენც ყველას დახვრეტა მიუსაჯეთ, მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში მათი სულიერი მამის ბატონ კვისლინგის სათნოებას და ლობიერიებას, დახვრეტას, გერმანიაში სამუდამო კატორღით უცვლით. განაჩენი საბოლოოა. ეშელონები ჩამომდგარია და ათი წუთის ვადა ეძლევათ ჩასახდომით და პირდაპირ ბერლინისაკენ გასამგზავრებლად. (სას. მდივანი განაჩენს კითხულობს, პატიმართა სახეებზე მრისხანება აღბეჭდილი, გაისმის აფეთქების ხმა, სასამართლოს თავ-რე ფეხზე წამოიჭრება, სას. წევრებსაც გამოეღვიძებათ, შემორბის 1 პოლიციელი).

სახ. თ-რე — (კანკალით) რა ამბავია?

1 პოლიციელი — მოტორ-მშენებლობის ქარხანას ბომბი ესროლეს და ააფეთქეს. (კვლავ ისმის აფეთქებების ხმა, შემორბის 2 პოლიციელი).

2 პოლიციელი — რეზინის ქარხანა ააფეთქეს, იწვის გემთმშენებლობის სადგური (უცარი აფეთქებით მთელი შენობა შეზანზარდება, შემორბის 3 პოლიციელი).

3 პოლიციელი — რკ. გზის სადგური აფიფეთქეს.

სახ. თ-რე — არიქა თავს უშველეთ (ყველანი წამოიშლებიან, ელექტრონი ჩაქრება, შეიქნება აურზაური, სიბნელეში კვისლინგელები ერთმანეთს ეხეთქებიან, ყველა პატიმარი თავს შევლის).

ხმა გარედან — მგონი თქვენ აპირებთ ნორვეგიიდან გაქცევის „ბატონო“ კვისლინგელებო, მიიღეთ ჩვენი „საჩუქარი“, დასცხეთ მაგ არამზადებს. (შემოიჭრებიან პარტიზანები).

დ. გელაშვილი



სხვიკების სპიროსი მესამე იბვიკიანი

ნახ. მ. ვაფიანოვიჩი

„იმის გამო რომ გარდაცემის მოსახლეობის თანდათან მცირე-
დაბნა სასოვნარკვეთილებსა და პასივიზების გრძობა, პასივიზ-
ტაში გამოსახლებული იქნან რეზისტორები
და სპიროსი იბვიკიანი...“



ჰიტლერი: აუწიე ამ პეხიმიტებს ცხვირი, გადააქციე ისინი ობტიმიტებად!
მისტაკოვილი: არის ფიურერ, ცხვირებს ისე გავუსწორებთ, რომ არც ერთი პეხიმიტი აღარ დარჩეს მესამე იმერიაში.